პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ აგვისტო _____ 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ტელე-რადიო კომპანია „რიონისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის ---- აგვისტოს № ---------- წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ტელე-რადიო კომპანია „რიონისათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №212678093) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, ფალიაშვილის ქუჩა №2, ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი №8-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში განთავსებული არასაცხოვრებელი ფართების (საკადასტრო კოდი №03.03.21.432.01.506; ფართობი - 271.84 კვ.მ; საკადასტრო კოდი №03.03.21.432.01.509; ფართობი - 110,42კვ.მ) 5 (ხუთი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. ქონების სარგებლობის ქირა განისაზღვროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსა“ და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 2022 წლის 28 იანვარს გაფორმებული №2000102722 ხელშეკრულების საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (29.06.2022 წელი, №004352722) მიხედვით, რომელიც შეადგენს 20 500.0 (ოცი ათას ხუთასი) ლარი.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ტელე-რადიო კომპანია „რიონისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ“
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით
განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ტელე-რადიო კომპანია „რიონის“ დირექტორის 2022 წლის 23 აგვისტოს N32-22 მომართვა, რომლითაც ითხოვს ქალაქ ქუთაისში, ფალიაშვილის ქუჩა №2, ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი №8-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში განთავსებული არასაცხოვრებელი ფართების (საკადასტრო კოდი N03.03.21.432.01.509; ფართობი - 110.42 კვ.მ; საკადასტრო კოდი N03.03.21.432.01.506; ფართობი - 271.84კვ.მ) სარგებლობაში გადაცემას.

ქალაქ ქუთაისში წლებია ფუნქციონირებს დამოუკიდებელი ტელე-რადიო კომპანია ,,რიონი“ 2005 წელს „რიონმა“ მიიღო უფლება იჯარით დაეკავებინა ფალიაშვილის ქუჩა №2-ში მდებარე შენობის, ჯერ მე-2 და მოგვიანებით მე-3 სართულები. სულ-381კვ.მ. ეს იყო ავარიულ მდგომარეობაში მყოფი, დანგრევის პირას მისული ნაგებობა. ტელევიზიის მწირი შემოსავლებით, მაყურებელთა დახმარებითა და მოსარგებლის ხარჯებით მოხდა აღდგენითი და სარემონტო სამუშაოების ჩატარება. სრულყოფილად დაიწყო ფუნქციონირება ტელერადიო კომპანია რიონმა.

2020 წლის 27 თებერვალს გაფორმებული N1 ხელშეკრულების საფუძველზე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ტელე-რადიო კომპანია „რიონის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაეცა არასაცხოვრებელი ფართი ქალაქ ქუთაისში, ფალიაშვილის ქუჩა №2/ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი №8 (ფართობი: 271.84 კვ.მ.; საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.03.21.432.01.506) და არასაცხოვრებელი ფართი ქალაქ ქუთაისში, ფალიაშვილის ქუჩა №2/ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი №8 (ფართობი: 110.42 კვ.მ.; საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.03.21.432.01.509) 2 (ორი) წლის ვადით.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 122-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების თანახმად, ,,5. პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობებით ან უპირობოდ. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა დასაშვებია არაუმეტეს 2 წლის ვადით, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. 6. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ქონება უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე გადასცეს სახელმწიფოს და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (გარდა პოლიტიკური პარტიისა), მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, საწარმოს, რომლის წილის ან აქციათა 50%-ზე მეტს ფლობს/ფლობენ მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები, ან თავად ამ კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს.“ მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვერ განხორციელდება უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემა უსასყიდლოდ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ტელე-რადიო კომპანია „რიონისათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №212678093) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების, კერძოდ, არასაცხოვრებელი ფართი ქალაქ ქუთაისში, ფალიაშვილის ქუჩა №2/ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი №8 (ფართობი: 271.84 კვ.მ.; საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.03.21.432.01.506) და არასაცხოვრებელი ფართი ქალაქ ქუთაისში, ფალიაშვილის ქუჩა

№2/ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი №8 (ფართობი: 110.42 კვ.მ.; საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.03.21.432.01.509) 5 (ხუთი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემა. ქონების სარგებლობის ქირა განისაზღვროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსა" და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 2022 წლის 28 იანვარს გაფორმებული №2000102722 ხელშეკრულების საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს" მიერ წარმოდგენილი დასკვნის (29.06.2022 წელი, №004352722) მიხედვით, რომელიც შეადგენს 20 500.0 (ოცი ათას ხუთასი) ლარი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი - საკრებულოს თანხმობით წყვეტს უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის საკითხს.

შესაბამისად წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ტელე-რადიო კომპანია „რიონისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ვალერიან სილაგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი